შეთანხმების აქტი N01/04-1

04.01.2017 წლის N01/04 ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შესახებ

ქ. თბილისი **15 მაისი 2017 წელი**

ერთი მხრივ,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - **თეიმურაზ მღებრიშვილის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის N83ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის N: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორე მხრივ,
შპს „აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი"
წარმოდგენილი დირექტორის - **ანგელინა ორჯონიკიძის** სახით,
მის: საქართველო, ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ., №83ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 212841424
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: 220101888
IBAN: GE60TB0311934080100001
ტელეფონი: 599148838
(შემდგომში „მიმწოდებელი")

2017 წლის 4 იანვარს გაფორმებული N01/04 ხელშეკრულების მე-10 მუხლის, 2017 წლის 10 მაისის MOC 8 17 00349074 მოხსენებითი ბარათისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-13 მუხლის და სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება 2017 წლის 4 იანვარს გაფორმებულ N01/04 ხელშეკრულების 3.1 ქვეპუნქტში ხელშეკრულების საერთო ღირებულება შემცირდეს 4023.00 ლარით და 3.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - **25 977.00 ლარს (ოცდახუთი ათას ცხრაას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და 00 თეთრი).**
2. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მოცემული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.
3. შეთანხმება ძალაშია მითითებული თარიღიდან, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.
4. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

წინადებარე „შეთანხმების აქტი" წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	შპს „აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი"
მინისტრის მოადგილე	დირექტორი
თეიმურაზ მღებრიშვილი	ანგელინა ორჯონიკიძე

* MOC817700349074*
MOC 8 17 00349074

10/05/2017

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილეს,
ბატონ თეიმურაზ მღებრიშვილს

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის,
ზურაბ ფუტკარაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო თეიმურაზ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებს შორის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებებთან 2017 წლის განმავლობაში გაფორმებული მოკლევადიანი ხელშეკრულებების შესაბამისად, სამოქალაქო სექტორის კლინიკებთან შეჯერებული ინფორმაციის საფუძველზე, წარმოგიდგენთ ხელშეკრულებებიდან ათვისებული თანხებისა და დარჩენილი ნაშთების შესახებ ინფორმაციას ცხრილის სახით.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ცენტრალური აპარატი / სამედიცინო დეპარტამენტი
უფროსის მოადგილე
ზურაბ ფუტკარაძე